

საქართველოს მოქალაქის პირადობის (ელექტრონული) მოწმობა 18 წლამდე პირზე გაიცემა 4 წლის ვადით, 18 წელს მიღწეულ პირზე 10 წლის ვადით, განცხადების წარდგენიდან 45 დღის განმავლობაში.

პირადობის ელექტრონული მოწმობის მისაღებად საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან დაბადების მოწმობის ასლი;
- მანი ორდერი (Money Order) 30 აშშ დოლარის ოდენობით
- იმ შემთხვევაში, თუ გსურთ პირადობის მოწმობის მიღება ფოსტის საშუალებით, გთხოვთ წარმოადგინოთ მუყაოს კონვერტი მისამართით და სათანადო რაოდენობის საფოსტო მარკებით;
- თუ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არ არის წარმოდგენილი პირის დოკუმენტის გაცემის ან რეგისტრაციის ფაქტის დადასტურება, არ არის წარმოდგენილი პირის ფოტო ან არსებული ფოტოს ხანდაზმულობიდან გამომდინარე ვერ ხერხდება იდენტიფიკაციის დადგენა, საჭიროა ფოტოზე გამოსახული პირის იდენტიფიკაციის დადგენა საქართველოს სრულწლოვანი მოქალაქის მიერ. საკონსულო თანამდებობის პირი უფლებამოსილია მოითხოვოს ფოტოიდენტიფიკაციის დადასტურება ან გააფრთხილოს მოქალაქე წინასწარ არსებული პროცედურის განხორციელების შესაძლებლობაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც პირადობის მოწმობა გაცემულია 10 წლის წინ. ფოტოიდენტიფიკაციის დადასტურება შესაძლებელია, როგორც საკონსულოში, ასევე, ქ. თბილისის იუსტიციის სახლში.